პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
შაბათი
23
ოქტომბერი
№ 250
(16680)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გუშინ თბილისში მუშაობა დაამთავრა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ.

კონფერენციაზე, რომლის თემა იყო „[illegible] ნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის [illegible] ყვეტილებათა თვალსაზრისით“, ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირში ეროვნული მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. ორი სისტემის იდეოლოგიური წინააღმდეგობების გამწვავების თანამედროვე პირობებში ლ. ი. ბრეჟნევის თანმიმდევრულ ბრძოლას ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა და ჩვენს პლანეტაზე პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გამარჯვებისათვის.

ზრუნვა — შემოქმედებითს ანალგაზრდობას!

ლენ მხატვრული შემოქმედების ყველა სფეროში გაისმის ნიჭიერ ახალგაზრდათა ხმა. საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახალი ძალების მზარდი ნაკადი იმ ხელშემწყობი ატმოსფეროს ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომელშიც ჩვენი კულტურის განვითარება ხდება. ახალგაზრდა ლიტერატორები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრის, კინოს და ტელევიზიის მუშაკები, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის კლასიკოსთა ცხოველმყოფელ ტრადიციებს ეყრდნობიან, ცდილობენ მხატვრულად აითვისონ სინამდვილის ახალი შრეები, მკაფიოდ აღბეჭდონ თანამედროვეთა სულიერი სახის ნიშნები, გვიჩვენონ თავიანთი თანატოლები, რომლებიც სამშობლოს ბედისათვის პასუხისმგებლობის ტვირთს კისრულობენ.

XXV ყრილობის ტრიბუნიდან ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობა სულ უფრო მტკიცედ შემოდის ცხოვრებაში. ამით ამხანაგმა ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის დადებითი გამოცდილება, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომკავშირმა, კულტურის ორგანოებმა და შემოქმედებითმა კავშირებმა შეიძინეს.

ჩვენს პარტიას შემოქმედებითი ცვლის მომზადება და აღზრდა კულტურული მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია და ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მას. ამის ახალი დადასტურებაა ახლახან გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედების ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით გამსჭვალულ ამ დოკუმენტში მოცემულია შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობის პროფესიული სწავლებისა და იდეურ-პოლიტიკური წრთობის მთელი სიტეტმის სრულყოფის გაშლილი პროგრამა.

შემოქმედებითი სახალგაზრდობის აღზრდა შევუსაბამოთ კომუნისტური მშენებლობის ახლანდელი ეტაპის მოთხოვნებს — ნიშნავს აღვკვეთოთ ნაკლოვანებები სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლებისა და სასწავლებლების სამხატვრო განყოფილებებში, განვამტკიცოთ მათი მატერიალური ბაზა, სერიოზულად გავაუმჯობესოთ ხელოვნების სასწავლებლებში მიღების პრაქტიკა, სადაც ჯერ კიდევ თავს იჩენს შერჩევის კრიტერიუმების არაასრულყოფილება. მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა დარგს სჭირდება დიფერენციული მიდგომა, თვითეულ მათგანს თავისი პრობლემები აქვს, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ. მაგალითად, ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებითი ზრდის დასაჩქარებლად უნდა გავაფართოოთ სახელოსნოების, საგამოფენო შენობების ქსელი, უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მათი საუკეთესო ნაწარმოებები ჯეროვნად იყო წარმოდგენილი გამოფენათა ექსპოზიციებში. მომავალი მსახიობებისა და რეჟისორების აღზრდას, უეჭველია ხელს შეუწყობს ინსტიტუტებთან სასწავლო თეატრების, საობერო სტუდიების შექმნა, ხოლო პროფესიულ დასში შესვლისას — უფროსი ამხანაგების დაინტერესებული ყურადღება, პროფესიული ოსტატობის საკითხებზე მეცადინეობათა ორგანიზაცია, სამხატვრო საბჭოების მუშაობაში მონაწილეობა. შემოქმედებითი ზრდის დიდნიშვნელოვანი სტიმული გახდება ახალგაზრდა მხატვართა, დრამატურგთა და კომპოზიტორთა ნამუშევრების შეკვეთისა და შეძენისათვის ასიგნებათა გათვალისწინებული გადიდება.

განსაკუთრებული როლი ენიჭებათ შემოქმედებითი ცვლის დამრიგებლებს უმაღლეს სასწავლებელში. იმ დროს, როცა ხელოვნების მომავალი სპეციალისტი პროფესიის ჩვევებს ეუფლება, მისი აღმზრდელები უნდა იყვნენ ავტორიტეტიანი ადამიანები, თავიანთი დარგის ნამდვილი ოსტატები, რომლებსაც უნარი შესწევთ ხელი შეუწყონ შემოქმედებითი ინდივიდუალობის მტკიცე ჩამოყალიბებას, სასწავლებლების მასწავლებელთა სწორი შერჩევა, მათი პოლიტიკური და პროფესიული მომზადების ამაღლებისათვის ზრუნვა ახალგაზრდა ტალანტების წარმატებითი აღზრდის საწინდარია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საჭიროა გათვალისწინონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სპეციფიკა სამხატვრო ინსტიტუტებსა და სასწავლებლებში, ახალგაზრდობისადმი გულისხმიერი, პატივისმცემელი დამოკიდებულება შეუხამონ დიდ მომთხოვნელობასა და პრინციპულობას.

ამ უკანასკნელი წლების მანძილზე შემოქმედებითმა კავშირებმა ბევრი ღონისძიებაც განახორციელეს, რათა დახმარება და მხარდაჭერა გაეწიათ დამწყები ლიტერატორებისათვის, მხატვრებისათვის, კომპოზიტორებისათვის, მსახიობებისა და რეჟისორებისათვის. საქმე ეხება, უპირველეს ყოვლისა, ნიჭის გამოვლინებას, ახალგაზრდათა აქტიურ ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დადებითი როლი შეასრულეს თეორიულმა სემინარებმა, დისკუსიებმა, თათბირებმა. მაგრამ საფუძველი არა გვაქვს დავჯერდეთ მიღწეულს. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდობასთან მუშაობის კომისიები და საბჭოები უფრო მიზანდასახულად მოქმედებდნენ, რომ უყურადღებოდ არ რჩებოდნენ ნიჭიერი ავტორები, რომლებიც ჯერ არ გამბედარან შემოქმედებითი კავშირების წევრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა უფრო ფართოდ ჩავაბათ შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალი თაობის წარმომადგენლები პერიოდული გამოცემების სარედაქციო კოლეგიების, საგამოფენო კომიტეტების, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოების, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში.

ახალგაზრდათა მჩქეფარე ენერგიამ, შემოქმედებითი შემართება ახალ იმპულსებს უნდა აძლევდეს ჩვენი მხატვრული კულტურის განვითარებას, ამდიდრებდეს ხელოვნების ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ყოველდღიურ მუშაობას. სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაცია ენერგიულად ეხმარება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, ეფექტიანობის ამაღლების, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიურ საფუძველზე გადაყვანის, ეროვნული ეკონომიკური კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის ინსტიტუტებისა და ორგანოების ინფორმაციული ბანკების ეფექტიანი ფუნქციონირების ამოცანების ეფექტიანი გადაწყვეტის, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ეროვნული ეკონომიკური კომპლექსის

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძლევამოსილი დროშა

სოციალური პროგლემებისადმი კლასობრივი მიდგომა, როგორც ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი

პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის დროიდან და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მარქსიზმი შეიქმნა და „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ გამოცხადდა, პროლეტარიატი ინტერნაციონალიზმის მეშვეობით, მისი პრინციპების დამომხატველია.

დადასტურდა ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველება, რომ „დიდი იქნება ვლადიმერ ილიჩის ეროვნული პროლეტარიატის, როგორც კომუნისტური რევოლუციის მთავარი მამოძრავებლის სოციალისტური როლი“. სწორედ რუსეთის პროლეტარიატმა შეძლო თავის გარშემო შეიკავშირებინა ქვეყნის ყველა ერის მშრომელი მასები, მოეზიდვინა მათი უაღრესად სრული ნდობა, უზრუნველეყო ოქტომბრის გამარჯვება, დაეარსა ისინი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სულისკვეთებით.

თვით მუშათა კლასიც განუწყვეტლივ ვითარდება რაოდენობრივად და თვისებრივად. ერთიანი საბჭოთა მუშათა კლასის ეროვნული რაზმები ახლა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნულ რაიონშია. უკრაინაში, მაგალითად, მუშათა კლასის შემადგენლობაში 70,8 პროცენტი უკრაინელია, 23,5 პროცენტი — რუსი, 5,7 პროცენტი სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი. მაგრამ საქმე არა მარტო და არა იმიერნად მუშათა კლასის საშინაო ეროვნული სტრუქტურაა, არამედ ის, რომ იგი ნამდვილად ინტერნაციონალის ტური ძალად გვევლინება, ინტერნაციონალისტია თვისი სულისკვეთებითა და ხასიათით.

მუშათა კლასის კლასობრივი მიზნები და ამოცანები მთელი საბჭოთა საზოგადოების მიზნები და ამოცანები გახდა, მისი იდეოლოგია გაბატონებულია ჩვენს ქვეყანაში. სწორედ მუშათა კლასს მიეკუთვნება უდიდესი და განსაზღვრელი როლი სოციალიზმის აშენებაში.

ყველა საშინაო და საერთაშორისო პრობლემის გადაწყვეტისადმი კლასობრივ-ინტერნაციონალისტური მიდგომით არის განმსჭვალული ჩვენი პარტიის მთელი იდეურ-თეორიული და პოლიტიკური საქმიანობა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მის XXV ყრილობაზე.

რა თქმა უნდა, ახლა ყველა აღიარებს, რომ მუშათა კლასის იდეოლოგია მთელი საბჭოთა საზოგადოების იდეოლოგია გახდა. მაგრამ ეოტაა ვიღიარებდეთ ამ თვალისთვალ საგულისხმო ფაქტს. საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ ამისათვის, რომ ჩამოვაყალიბოთ თვითეული საბჭოთა ადამიანის აქტიური საარსებო პოზიცია ამ პრინციპიულ საკითხში, საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალისტურ შეხედულებებს ხორცი შეესხას მათს პრაქტიკულ, კონკრეტულ საქმიანობაში, რათა მშრომელებმა მოიხადონ თავიანთი ინტერნაციონალურ ვალი — განამტკიცონ მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ე. მალანჩუკის თანამოხსენებიდან

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს უკრაინის სს რესპუბლიკის მშრომელებსაც. რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა მიმდინარე ხუთწლედში, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად ახდა. კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავა. საკმარისია ითქვას, რომ უკვე წელს აწარმოებენ 54 მილიონ ტონაზე მეტ ფოლადს, ამოიღებენ 220 მილიონ ტონა ქვანახშირსა და 126 მილიონ ტონა რკინის მადანს, გამოიმუშავებენ 204 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, მნიშვნელოვნად გაიზრდება წარმოების მოცულობანი სახალხო მეურნეობის სხვა უმნიშვნელოვანეს დარგებში.

უკრაინელმა მხვნელ-მთესველებმა საშუალოდ ჰექტარზე 28,2 ცენტნერი მარცვლეული მოიწიეს (ბარდა სიმინდისა). მიმდინარე წლის შემოდგომის ურთიერთსინდისიერ ბინდის პირობებში მიწათმოქმედნი ბმირვიან, რომ აიღონ რესპუბლიკის ისტორიაში ყველაზე უხვი შაქრის ჭარხლის მოსავალი.

ამასთანავე, გვახარებს ჩვენი მომეტ რესპუბლიკების წარმატებები. დიდი მოცულობებით ვისაქმენთ, ვეუყორებთ, ვაითხოლობთ ყაზახეთის მინდვრის მშრომელების, ქართველი მეჩაიეების, უზბეკი მხვნელ-მთესველების, ჩვენი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის ხალხების შრომითი გამარჯვების შესახებ. ჩვენი ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებაში თვითეული რესპუბლიკის წვლილის გადიდება ეს არის ინტერნაციონალიზმი მოქმედებაში, მუშათა კლასის ინტერნაციონალური მიზნის განხორციელება — კომუნისტური საზოგადოების აშენება.

სოციალურ-ეკონომიური განვითარების თანამედროვე ეტაპი მოითხოვს, რომ საბჭოთა ადამიანები კლასობრივი ინტერნაციონალური მოვალეობის პოზიციებიდან აფასებდნენ ჩვენს სინამდვილეში მიმდინარე პროცესებს — ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცების, მსხვილი რეგიონალური ეკონომიური კომპლექსების ფორმირების მისი განვითარების, საწარმოო ძალების უფრო რაციონალური განაწილების პროცესების ბუნებრივი და შრომითი რესურსების შესაბამისად, რათა მათ სწორად ესმოდეთ, რომ საჭიროა მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელახლა გავაანგარიშოთ ეროვნული შემოსავლის საზოგადოებრივი ღირებულება, გონივრულად ჩამოვაყალიბოთ მატერიალური მოთხოვნილებანი, ავარეგულოთ მათი დაკმაყოფილების ბრბები და წყაროები.

შემდეგ ორატორი შეეხო ზოგიერთ საკითხს, რომლებიც ისტორიული წარსულისადმი კლასობრივი მიდგომის აღზრდას, პარტიისა და მუშათა კლასის ინტერნაციონალისტური ტრადიციებ ბ ი ს განვითარებას უკავშირდება.

მარქსიზმ-ლენინიზმისათვის ერთნაირად ცოცხა როგორც ეროვნული აბსოლუტიზაცია, ისე ეროვნული ნიჰილიზმი. ჩვენ უგვარტოდმონი არა ვართ და არ ვიპირებთ ოარი ვთქვათ ჩვენს ეროვნულ ტრადიციებზე, ჩვენი ხალხის ისტორიაზე.

არ არის სხვა ისეთი პარტია, გარდა კომუნისტების პარტიისა, არ არსებობს სხვა ისეთი სახელმწიფო, გარდა სოციალისტური სახელმწიფოსა, რომლებიც ასე ზრუნავდნენ თავიანთი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. ეს შეგვიძლია დავიანახოთ თუნდაც უკრაინის სს რესპუბლიკის მაგალითით, რესპუბლიკაში, მაგალითად, აღრიცხვაზე აყვანილია 45.700 კულტურის ძეგლი. სახელმწიფო იცავს დიდი სამამულო ომის 27 ნთასზე მეტ ძეგლს.

საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავის დღესასწაულზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ალბათ, არ არის ადგილი, რომელსაც ძვალრბილში არ ჰქონდეს გამჯდარი მამა-პაპათა მამული, შუბლიური კულტურის, თავისი ენის, თავისი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების სიყვარული. მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში ეს გრძნობა — პატრიოტ ი ზ მ ი ს გრძნობა — სეილდება ეროვნული კეთილდღეობის საზღვრებს, ახალი შინაარსით ივსება“.

უკრაინელი ხალხის განსაკუთრებული სიამაყის საგანია მისი სამართალისო მეგობრობა დიდ რუს ხალხთან, მეგობრობა, რომელმაც ყველა სიძნელე და განსაცდელი გამოიარა. რა თქმა უნდა, ამ მეგობრობას განამტკიცებს წარმომავლობის, ენისა და ხასიათის სიახლოვე, ერთნაირი ისტორიული ბედი. ამ მეგობრობის თვისებრივად ახალი, ნამდვილად კლასობრივი და ინტერნაციონალური შინაარსი შთაბერა სოციალიზმმა, რუსი ხალხის სიდიადე და ძლიერი სულისკვეთება, ვაჟკაცობა და კეთილშობილება, ყველა შესანიშნავი თვისება ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის საგანი იყო, არის და იქნება.

მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ტრადიციები აქვს უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობას, მათს ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას.

პროლეტარულმა ინტერნაციონალიზმმა და საბჭოთა პატრიოტიზმმა სოციალიზმის სკოლაში გაიარეს და თვითონ გახდნენ სოციალიზმის დიადი სკოლა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ურთიერთმოქმედების, ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის ურთიერთგადაწყვეტის დიალექტიკური ფორმულაა ერების შეკავშირება, კლასობრივად ინტერნაციონალური ერთიანობა, ყოველმხრივი დახმარება სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან მათი სრული გათავისუფლების, თვითეული მათგანის განვითარების ოპტიმალური ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი პირობების შექმნის მეოხებით.

შემდეგ თანამომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის დიდ მუშაობაში ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, რომ არსებობს კიდევ პატრიოტიზმის წვრილბურჟუაზიული გაგება, რომლის წინააღმდეგ გაბეჯდულად უნდა ვიბრძოლოთ.

ვერ უგულებელვყოფთ იმ ფაქტსაც, რომ ნაციონალისტური გადმონაშთები ჩვენს დროში, როგორც წესი, შენიღბულად, გვევლინებიან. ნაციონალიზმი მრავალსახოვანია, მას აქვს თავისი ნამდვილი მიზნების მიჩქმალვის არაჩვეულებრივი უნარი. ისინი ჭეშდროდ არის გადახლართული რელიგიურ ცრურწმენებთან, კერძომესაკუთრული ტენდენციებთან და სხვ. სწორედ ამიტომ აქტიურობა, შეტევითობა ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვაში, ნაციონალისტურ ცრურწმენათა წინააღმდეგ თანამიმდევრული ბრძოლაში, ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვაში ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობის უცილობელი კანონი უნდა იყოს.

ყველა საბჭოთა ადამიანის იდეურ-პოლიტიკური შეკრების ამაღლების, საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესახებ მეცნიერული ცოდნის ჩამოყალიბების, მათი შეგნებული გამოყენების, კლასობრივი მიდგომის უზრუნველყოფის ამოცანა, რომელიც პარტიამ დაგვისახა, — თქვენ დასასრული თანამომხსენებელმა, — მშრომელთა ინტერნაციონალური და საერთოდ კომუნისტური აღზრდის მთელი სისტემის შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

კონფედერაციის უკრაინელ მოწაფეოთა ჯგუფის სახელით ამხ. მალანჩუკმა გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეროვნული პოლიტიკისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საკირბორბოტო პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოწყობისათვის, იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ საქართველოს კომპარტიის საქმიანობის გამოცდილებას, რომელზეც, განსაკუთრებ., ასე შესანიშნავად ილაპარაკა ამხანაგმა ვ. ი. შეკრდნაძემ და რომელსაც ამას წინათ მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, და. ბოლოს, მადლობა გადაიხადა იმ ნამდვილად ძმური გულთბილობისათვის, რომელიც ყველას მიმართ გამოიჩინეს ქართველმა ამხანაგებმა.

ლენინური ეროვნული პოლიტიკისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის პროპაგანდა იაკუტიის ინტერნაციონალურ შრომითს კოლექტივებში

იაკუტიის საოლქო პარტიული ორგანიზაცია თავის პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის დებულებებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვ. ი. ლენინის შრომებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტებში. პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთ ცენტრალურ ამოცანად მიაჩნიათ მშრომელები აღზარდონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების სულისკვეთებით.

მთელ ჩვენს მუშაობაში ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ახლა შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. მას უწინარეს ყოვლისა ახასიათებს მტკიცე სულიერი ერთიანობა, სოციალისტურ ერთა და ეროვნებათა ცხოვრების ყველა სფეროს ღრმა ინტერნაციონალიზაცია, ხალხთა მეგობრობის უმაგალითო განმტკიცება, ძმური ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა.

ჩვენ ვიცით, რომ ინტერნაციონალური აღზრდა კომპლექსური პროგრამაა, რომელიც მარტო იდეოლოგიური მუშაობით ვერ გადაწყდება. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდა ხორციელდება ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტის მსვლელობაში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე უშუალო შრომითი სამეცნიერო. ეს არის ეკონომიკისტური, ინტერნაციონალური წრთობის საუკეთესო სკოლა.

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, პარტიის ნებით ინტენსიურად ვითარდება იაკუტიის სახალხო მეურნეობა, რომელიც ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განუყოფელი ნაწილია, ერთიანი გეგმით რომ ვითარდება.

ერთ-ერთი დიდი მშენებლობაა სამხრეთ იაკუტიის ქვანახშირის კომპლექსი. ეს ჭეშმარიტად ინტერნაციონალური მშენებლობაა. უნდა აღინიშნოს, რომ ახლა იაკუტიის ასს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დაახლოებით 70 ერისა და ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. „იაკუტქვანახშირშენის“ კომბინატის კოლექტივში მუშაობენ 44 ეროვნების ადამიანები. ასეთივე სურათია ალმასის, ოქროს მომპოვებელი მრეწველობის ობიექტებზე, ბამტიდა-ბერკაკიტის — ეგრეთ წოდებული მცირე ბაბის რკინიგზის მშენებლობაზე. ამრიგად, ბევრი მაგალითი გვაქვს იმისა, თუ როგორ წყვეტენ მოძმე ხალხები მასშტაბურ პრობლემებს, რომ თანამედროვე გზით განვითარდეს იაკუტია — წარსულში მეფის რუსეთის ყველაზე ჩამორჩენილი ჩრდილოეთის განაპირა მხარე.

ყველგან მრავალეროვნული საწარმოო კოლექტივები ის უჯრედებია, სადაც აქტიური ინტერნაციონალური აღზრდა მიმდინარეობს. შრომითს კოლექტივებში მიმდინარეობს მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების პროცესი. ავიღოთ, მაგალითად, „იაკუტქვანახშირშენის“ კომბინატის ამხ. ნ. გ. ივანოვის მომპირკეთებელთა ბრიგადა. ბრიგადაში რვა ეროვნების ადამიანები მუშაობენ. აქ კარგად არის ორგანიზებული დამოგებლობა, საზოგადოებრივ საწყისებზე ასწავლიან მეორე და მომიჯნავე პროფესიებს. ბრიგადის ზოგიერთ წევრს წილად ხვდა სკკპ XXV ყრილობისადმი ლენინური კოკავშირის პატაკის ხელმოწერის პატივი. ბრიგადაში არ არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, კონფლიქტები და ნაჩიენები. იაკუტი ქალიშვილები მეგობრობენ ბელორუსიიდან, უკრაინიდან, რუსეთის ცენტრალური ოლქებიდან ჩამოსულ ქალიშვილებთან. ბრიგადის წევრები ერთსულოვან ოჯახად მუშაობენ, ერთმანეთს ეხმარებიან ცხოვრებაში, შრომასა და სწავლაში. ასეთ მრავალეროვნულ ბრიგადებში მნიშვნელოვნად მეტია ინტერესი ისტორიისადმი, კულტურისა და მეცნიერებისადმი, ვიდრე ეროვნებით ერთგვაროვან კოლექტივებში.

ვ. ი. ლენინის აზრი, რომ „მუშათა ინტერნაციონალური ერთობა ეროვნულზე უფრო მნიშვნელოვანია“, კოლექტივის ცხოვრების მინაგანი კანონი ხდება. ერთმანეთს პატივისცემის, თანასწორუფლებიანობის ჭრნობის რომ განამტკიცებენ, პარტიული ორგანიზაციები ქმნიან ვითარებას, როცა ადამიანს აფასებენ საზოგადოებრივი აქტივობით, შრომითი წვლილით, წინა პლანზე იმას აყენებენ, რაც აერთიანებს საბჭოთა ადამიანებს, და არა ეროვნულ თავისებურებებსა და განსხვავებებს.

რამდენადაც ჩვენი კონფერენცია თბილისში მიმდინარეობს, მინდა აღვნიშნო ქართველი ხალხის დიდი წვლილიც იაკუტიის ასს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში. ეს დახმარება უაღრესად მრავალმხრივია. კერძოდ, თქვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები უშუალოდ შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მოვიყვან ორ მაგალითს. მრავალი წლის მანძილზე რესპუბლიკის ოქროს მომპოვებელი მრეწველობის ერთერთი ხელმძღვანელი იყო სოციალისტური შრომის გმირი კონდრატე ბარნაბის-ძე მაწყალაძე. იგი დააწინაურეს სსრ კავშირის ფირადი მეტწლურგიის სამინისტროს აპარატში. თავისი შრომითი საქმიანობის რამდენიმე ათეული წელი მოახმარა იაკუტიას სამთო ინჟინერმა გივი ლაზარეს-ძე გომელაურმა. იგი უკვე მრავალი წელია იაკუტიის ალმასის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად მუშაობს.

აღმოსავლეთ რაიონების, მათ შორის იაკუტიის ასს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შემდგომ დაჩქარებაში დიდ როლს ასრულებს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობა. იგი უკვე ახლა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს უკიდურესი ჩრდილოეთის პატარა ხალხების ყოფისა და კულტურის ინტერნაციონალიზაციაზე. მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა მყარდება „ბამბაშმენის“ ქვეგანაყოფის კოლექტივებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის.

იაკუტიის ინდუსტრიული განვითარების კვალობაზე ადგილობრივ ეროვნებათა სულ უფრო მეტი წარმომადგენელი უერთდება სახელოვან მუშათა კლასს. გუშინდელი გლეხები თანამედროვე სამრეწველო საწარმოების მოწინავე მუშები ხდებიან. შესაბამისად იცვლება ცხოვრების წესიც, მსოფლმხედველობა და ფსიქოლოგია. ინდუსტრიულ შრომაში ყოფილი მონადირეებისა და მესაქონლეების ჩაბმა, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან მრავალმხრივი და მრავალფეროვანი კონტაქტები ძირფესვიანად ცვლის მათს მსოფლმგრძნობელობას, განამტკიცებს პატრიოტულ და ინტერნაციონალისტურ შეხედულებებს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში სსრ კავშირის მოძმე ხალხების წარმომადგენლთა უშუალო მონაწილეობა უდიდეს დახმარებად მიგვაჩნია. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. დიდ დახმარებას გვიწევენ მოკავშირე და აუტონომიური რესპუბლიკები, რუსეთის ფედერაციის ოლქები, როცა გვაწვდიან ყოველნაირ მოწყობილობას, ნედლეულს, მასალებსა და სახალხო მოხმარების საქონელს. რესპუბლიკას მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფს თხუმბერეკე მოკავშირე რესპუბლიკის დაახლოებით ხუთი ათასი ქარხანა-მიმწოდებელი. კარგად მუშაობენ ჩელაბინსკელი და ვოლგოგრადის ქარხნების ბულდოზერები, ლენინგრადისა და რიგის ელექტრომრავები, ყირგიზეთისა და უზბეკეთის ელექტრომწყობილობა. საქართველოს სსრ 19 საწარმო გვაწვდის პირველი კლასის ნავთობის მოწყობილობასა და მართვის ხელსაწყოებს, ტრანსფორმატორებსა და ელექტრომრავებს, სამსხმელო მოწყობილობასა და ქიმიურ პროდუქციას, ავტომობილებსა და ამწეებს. რესპუბლიკებისა და ოლქების ძმური დახმარების შედეგად სწრაფად იზრდება იაკუტიის სამრეწველო პოტენციალი. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სამრეწველო-საწარმოო ფონდები ხუთჯერ გაიზარდა. ინდუსტრიული მდგომარეობა იქმნება სოფლის მეურნეობაშიც.

ეს ფაქტები თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებაში, არსებითად, მთელი ქვეყანა მონაწილეობს, რომ მიღწეული წარმატებანი მარტო ჩრდილოელების თავდადებული შრომის შედეგი არ არის. ეს ქვეყნის ყველა მშრომელის თანამშრომლობის, ყველა მოძმე ხალხის ერთობლივი შრომის შედეგია. ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსი ხალხის თვალსაჩინო როლი, რომელმაც გადამწყვეტი დახმარება გაგვიწია იაკუტიის წარსული ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და თანამედროვე პროგრესის მიღწევაში, მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებაში, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში. იაკუტი ხალხი უდიდეს პატივს სცემს დიდ რუს ხალხს, რომელთანაც აი უკვე სამ საუკუნენახევარია ერთიან სახელმწიფოში ცხოვრობს და ერთად შრომობს.

ჩვენ იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალებას ვიყენებთ და ფართო პროპაგანდას ეწევით ... ხალხთა მეგობრობას — სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ამ დიდ მონაპოვარს, რომელიც პარტიისა და მთავრობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების ეს პარტიულ ორგანიზაციებს ეხმარება შრომითი კოლექტივების ... ...

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძლევამოსილი დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ყინის მუშათა კლასი, როცა კულტურას ქმნიდა და ავითარებდა, თვითონაც იზრდებოდა სულიერად. ახლა, მომწიფებული სოციალიზმის სტადიაზე, თვისებრივად იცვლება კულტურის შემდგომ განვითარებაზე მუშათა კლასის გავლენის ფორმები. მხატვრული შემოქმედება ჰარმონიულად აერთიანებს მუშათა კლასის მშობლიურ სტიქიას — საწარმოთა საქმიანობას ადამიანის სულის მაღალ ინტელექტუალურ დაძაბულობასთან. შრომისა და ინტელექტის ამ, თითქოსდა საუკუნეების განმავლობაში საპირისპირო, პოლუსების შეერთებაში ისახება, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის კომუნისტური იდეალისაკენ წინსვლის ახლანდელი ეტაპის ახალი თვისება. ამის ხელშემწყობ ისეთ ობიექტურ ფაქტორებს, როგორიც არის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მუშათა კლასის ზოგადი განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება, მთელი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და სხვ., ემატება პარტიის მიზანმიმართული საქმიანობა შრომითი, იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის ამოცანების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომისათვის, რომელნადაც ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში.

ამრიგად, მომწიფებული სოციალიზმის პერიოდში კულტურის შემდგომ განვითარებას ახასიათებს მუშათა კლასის გავლენის გაძლიერება მისი თვისებების უშუალო ფორმირებაზე — მუშათა კლასის საზოგადოებრივ-საწარმოო ინტერესების ერთობლივ სფეროსთან თემატიური მიახლეებით დაწყებული და მათ იმ შეფასებათა იდეურ-ესთეტიკური კრიტერიუმების შემუშავებით დამთავრებული, რომლებიც გამოხატავენ მის ავანგარდულ როლს ჩვენს საზოგადოებაში.

საბჭოთა სულიერი კულტურის ინტერნაციონალური ტრადიციები და იდეების თანამედროვე ბრძოლა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ პარტიის, მთელი ჩვენი ხალხის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყურადღების ცენტრში დააყენა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრობლემები.

ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ფრილობაზე თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის მთავარი პრინციპია, მისი დაცვა და შემდგომი განვითარება თვითეული მარქსისტ-ლენინელის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

ღრმად დასაბუთებულ, მკაფიო, მე ვიტყოდი, მგზნებარე მოხსენებაში, რომელიც ამ. ე. ბ შევარდნაძემ გააკეთა, ჩამოყალიბებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ლენინური ერთიანული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი და აქტუალური პრობლემები, რომელსაც ჩვენი პარტია ავითარებს და ახორციელებს. ამ მოხსენებაში დაკონკრეტებულია ამ პრაქტიკის ერთიანობის კარგი მაგალითი, რომელიც მისაბაძია როგორც პარტიული მუშაკებისათვის, ისე საზოგადოებრივ-მეცნიერებისათვისაც.

ამ. შევარდნაძის მოხსენებაში დამაჯერებლად იყო ნაჩვენები ლ. ი. ბრეჟნევის პირადი წვლილი მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, მატერიალური კეთილდღეობის გაუჯობესების, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობის ანუ ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც მსოფლიოს მძლავრობით მშრომელი ადამიანის ინტერესებსა და უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თვითეული ადამიანისათვის თვითეული პიროვნებისათვის. ამასთან დაკავშირებით თავის ნებას ვაძლევ თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, თუ რაოდენ დიდი და ნაყოფიერია ჩვენი პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის წვლილი, რა უდიდესი ამ. ლ. ი. ბრეჟნევის პირადი წვლილი განვითარებული სოციალიზმის პირობებში მეცნიერებისა და ხელოვნების მზარდი როლის დასაბუთებისათვის სოციალისტური კულტურის შესახებ. კომუნისტური აღზრდის ღრმა არსისა და პერსპექტივების შესახებ, საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიური ბრძოლის, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე მოძმე პარტიების იდეოლოგიური თანაშრომლობის შესახებ ლენინური მოძღვრების შემდგომ განვითარებაში. ამ. ლ. ი. ბრეჟნევის პირადი წვლილი, რომელიც განუხრელადაა დაკავშირებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლექტიურ აზრთან და საქმიანობასთან, ხორციშესხმულია პარტიის დოკუმენტებში, მის ნაყოფიერ საქმიანობაში.

ამ. ბრეჟნევი თავის შრომებში გვიჩვენებს საბჭოთა სოციალისტური კულტურისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სხვა ხალხთა კულტურის ეროვნული ფორმების მრავალფეროვნებასაზეს უსვამს, რომ ამ მრავალფეროვან კულტურულ მშენებლობაში განმსაზღვრელ როლს სულ უფრო მეტად ასრულებენ საერთო ინტერნაციონალისტური თვისებები, რომ იზრდება და მტკიცდება მასების ინტერნაციონალისტური შეგნება, რომელიც საბჭოურ სულიერ კულტურისა და სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა კულტურის ფეიერ ბაზას წარმოადგენს. აქ უკვე ითქვა, რომ ამ. ბრეჟნევის შრომებში ნაჩვენებია სოციალისტური ერების აყვავებისა და დაახლოების დიალექტიკა. და ეს მთლიანად განეკუთვნება კულტურის დარგს, ამასთან ხაზგასმულია სოციალისტური ქვეყნების ხალხთა საერთო მეცნიერული მსოფლმხედველობა და კომუნისტური იდეალები, ერთობლივი თანამშრომლობა მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ეს პროგრესული პროცესი ნიშნავს, რომ საფუძველი ეყრება კომუნისტურ კულტურას, რომელიც იქნება უაღრესად ინტერნაციონალისტური სოციალისტური კულტურა, კულტურა, რომელიც უკვე ახლა ვითარდება სსრ კავშირსა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში.

მარქსისტულ - ლენინური მეცნიერება საბჭოთა კულტურას იხილავს პარტიის დოკუმენტებში. იგულისხმება არა მარტო მეცნიერული, მხატვრული, ზნეობრივი კულტურა, არამედ პოლიტიკური, მსოფლმხედველური კულტურა, ფილოსოფიური კულტურა და, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის დასაბუთება, მართვის კულტურა, ყოფის კულტურა და კულტურის სხვა სფეროები, რომლებიც ერთიან კომპლექსად ალიან დაკავშირებულნი და შემოქმედებითად განვითარებადი სოციალისტური იდეოლოგიით განაყოფიერებული. პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების საბოლოო ნაწილში ვპოულობთ ფორმულირებებს, რომლებიც დიდი ისტორიული გზის მეცნიერული განზოგადების ერთგვარი შეხედულებაა, მათ შორის სულიერი ცხოვრების დარგში.

საკითხს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მისი ტრადიციების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ერების, სახელმწიფოების, საზოგადოების ცხოვრებაში მისი როლის შესახებ თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ დღემდე ცხოველმყოფელი რჩება.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია ბუნებრივ დროიდან თავისი წარმოშობისთან ინტერნაციონალური და სოციალისტური იყო, რადგან მას საფუძვლად ედო მსოფლიო ცივილიზაცია, მსოფლიო მეცნიერების მიღწევები, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილების განზოგადება. თავისი სულისკვეთებით, იდეური შინაარსით და მომრთულებით ეს იდეოლოგია ისევე როგორც მის საფუძველზე წარმოქმნილი პროლეტარული კულტურის ელემენტები, ითვავითვე სოციალისტური იყო. მაგრამ კაპიტალიზმის განუყოფელი ბატონობის პირობებში განვითარება შეიძლო მხოლოდ პროლეტარული კულტურის ელემენტებს. ამ კულტურის განვითარებაში ახალი ეტაპი დადგა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა დაიწყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის „მატერიალიზაციის“ ყოველმხრივი განხორციელება.

ეს ისახება მრავალფეროვანი საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნითა და განვითარებით სოციალისტური ეკონომიური წყობილების აშენებით, ერთა ურთიერთობით, მეგობრობით, ურთიერთდახმარებით, პროლეტარული, შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული კულტურის განვითარებით. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ფაქტორად ისახა განათლების, აღზრდის საბჭოთა სისტემაში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მთელ სისტემაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში. სოციალისტურმა ინტერნაციონალიზმმა, რომელიც პროლეტარული რჩება თავისი კლასობრივი ბუნებით, თავისი წარმოშობით და ეითარდება მსოფლიო მუშათა მოძრაობის საფუძველზე, შეიძინა ახალი თვისებრივი ნიშნები, განსაკუთრებით სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნის შემდეგ.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ეს თვისებრივად ახალი ნიშნები მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის საგანია. ინტერნაციონალიზმის საკითხებში გვაყვს აშკარა მოწინააღმდეგეგნიც — ანტიკომუნიზმი, ანტისაბჭოურობა, მემარჯვენე სოციალ-რეფორმიზმი, მემარცხენე ექსტრემისტული ავანტიურიზმი. ზოგჯერ ინტერნაციონალიზმის საკითხებზე დავაა მუშათა მოძრაობის ზოგიერთ რაზმშიც.

ჩვენ დიდი მუშაობა გველის, რათა დავამკვიდროთ ინტერნაციონალისტური შეგნება, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სფეროა სულიერი კულტურის სფეროა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ცდილობენ შეარყიონ საერთაშორისო მუშათა მოძრაობა, კომუნისტური მოძრაობა, გალვენა მოახდინონ სოციალისტურ ქვეყნებში ადამიანთა შეგნებასა და ქცევაზე.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისათვის მზადებისა და ჩატარების პერიოდში, ისევე როგორც მომდევნო წლებში, დიდი მეცნიერულ-კვლევითი და პროპაგანდისტული მუშაობა უნდა გაეწიოთ ინტერნაციონალისტური შეგნებისა და ინტერნაციონალისტური კულტურის ეკონომიური ბაზის განუხრელი ზრდისა. საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა ამოცანაა უჩვენონ საყოველთაო სოციალისტური ინტერნაციონალური კულტურის, საბჭოთა ხალხის, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის, იმ განსაკუთრებული კულტურის ერთიანობა, რომელმაც შექმნა მილიონებისათვის სამაგალითო უდიდესი ღირებულებანი.

საბჭოთა ხალხის როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის თეორია და მეთოდოლოგია — ინტერნაციონალური აღზრდის ფაქტორები

სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ დადგენილებებში, ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და გამოსვლებში დიდი ყურადღება ეთმობა საბჭოთა ხალხის როგორც საბჭოთა ადამიანების ახალი ისტორიული ერთობის შექმნასა და განვითარებას. პარტია თავის კადრებს მიზნად უსახავს თეორიულ-მეთოდოლოგიურად გააზრონ მისი არსი, შეისწავლონ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ფორმირებისა და პროგრესის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, ეძებონ კომუნისტურ მშენებლობაში პარტიის როლის ამაღლების ახალი გზები და ფორმები. უეჭველია, საბჭოთა ხალხის არსის სწორ გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული ურთიერთობის სრულყოფისათვის, ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცებისათვის, მშრომელთა ინტერნაციონალისტური შეგნების ჩამოყალიბებისათვის.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის XXV ყრილობაზე „ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის ამ დებულებას, რომ ახლა უკვე საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისა და ამბების დახასიათება, მით უმეტეს მისი განვითარების მეცნიერული ხელმძღვანელობა შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინეთ საბჭოთა ხალხის შექმნის თეორია, მისი განმტკიცებისა და განვითარების პროცესები. ეს სავსებით შეეხება ავრეთვე მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, ახალი ისტორიული ერთობის ინტერნაციონალისტური შეგნების ჩამოყალიბებას.

ჩვენი საზოგადოების განვითარების ტენდენციების ღრმა კვლევის ამოცანებს შორის, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაგვისახა, დიდმნიშვნელოვანი ადგილი ვანკუთვნება საბჭოთა ხალხის როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის განმტკიცებისა და განვითარების პროცესების შემდგომ შესწავლას. ეს შესწავლის შედეგები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდამიც.

ახალი ინტერნაციონალური ერთობა შეიქმნა სოციალიზმის ობიექტურ-ეკონომიერებათა შედეგად და თვალნათლივ განასაზღვრებს მის უპირატესობებს კაპიტალიზმის წინაშე. იგი კომუნიზმის გზაზე საბჭოთა საზოგადოების პროგრესის ისტორიულად აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს და ამავე დროს არსებითს ზემოქმედებას ახდენს მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის განვითარებაზე, საერთოდ კაცობრიობის პროგრესზე.

საბჭოთა ხალხი, თუ მას განვიხილავთ სხვა ისტორიულ ერთობათა რიგში და მათთან შედარებით, წარმოადგენს განვითარების უფრო მაღალი დონის მქონე ერთობას სოციალური ურთიერთობის ხასიათითა და მასშტაბით, მათი სიმწიფის დონის, შეკავშირების დონის, საზოგადოებრივ პროგრესში როლის მიხედვით.

ახალი ერთობა ვერ შეიქმნებოდა, რომ არ ყოფილიყო თავისი კლასობრივი შინაარსით თვისებრივად ახალი ურთიერთობა ჩვენი საზოგადოების განვითარების ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურ, სულიერ, ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ დარგებში. ამავე დროს სოციალურ-კლასობრივი ფაქტორები განუყრელად არის დაკავშირებული ინტერნაციონალურ და ნაციონალურ ფაქტორებთან; და მთელი საზოგადოების შეკავშირებაზე მათი ზემოქმედების გარეშე საბჭოთა ხალხი ვერ გახდებოდა ისეთი მონოლითური ერთობა, როგორც ახლა არის.

შემდეგ თანამომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა ხალხის ფორმირების ეტაპების განსაზღვრის კრიტერიუმებს. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე განვითარებაში ახალი ისტორიული ერთობის არსის, ადგილისა და როლის გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შექმნის დროის, ფორმირებისა და განვითარების ეტაპების სწორად გაგებას.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ხალხის განვითარებას. კომუნისტური მშენებლობის გზაზე ჩვენი ქვეყნის დადგომამ დასაბამი მისცა საბჭოთა ხალხის განვითარებას ადამიანთა ისტორიულ ერთობად. ამ. ეტაპზე, ისევე როგორც ფორმირების პროცესში, მისი განვითარებისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალურ-ეკონომიური და სოციალურ-კლასობრივი ფაქტორები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმატებულ მშენებლობას; სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის თანდათანობით გადაზრდას „კომუნისტურ ურთიერთობად; სკკპ ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას; მუშათა კლასის კავშირის შემდგომ განმტკიცებას „ოქმეურნეგლეხობასთან და მშრომელ ინტელიგენციასთან; ახალი დადასტურებულ ჩამოყალიბებას. ამავე დროს დიდი თვისებრივი ცვლილებანი ხდება სოციალისტური ერების ერთობა და ეროვნებების აყვავებისა და დაახლოების შინაარსსა და ფორმებში, მათი მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, უეჭველად უაღრესად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ინტერნაციონალიზაციისა. მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამ პროცესს განსაკუთრებით ღრმა და ინტენსიური ხასიათი აქვს. იგი უწინარეს ყოვლისა საწარმოო ძალების განვითარების დონით განსაზღვრება. ინტერნაციონალიზაციას აძლიერებს ბევრი სხვა ობიექტური ფაქტორის მოქმედებაც: ჩვენს ქვეყანაში განვითარებული სოციალიზმის დამკვიდრება და კომუნიზმის მშენებლობა, ერთა და ეროვნებათა დაახლოების მზარდი პროცესი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ბაზა. ინტერნაციონალიზაციის პროცესებს მნიშვნელოვნად ანერგავს ისეთი ფაქტორების ზემოქმედება, როგორიცაა საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალისტური შეგნება, სსკპ პოლიტიკის როლის გაძლიერება სსრ კავშირის ერთა და ეროვნებათა შემდგომი დაახლოებისა და მათი მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების საქმეში.

ხალხთა ერთიანობის ინტერნაციონალისტური ხასიათი, სოციალისტური შინაარსი მუშათა კლასისა და მისი მოკავშირეების რევოლუციური ბრძოლის პროცესში ყალიბდებოდა, კიდევ მეტად გაძლიერდა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად, განუწყვეტლივ მტკიცდებოდა სოციალიზმის მშენებლობის დროს და საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი სიმწიფის მიღწევისთანავე.

საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური ერთიანობა ახლა სოციალისტური ეროვნული ურთიერთობის განვითარების დონის მთავარი მაჩვენებელია და მოწმობს, რომ შეესაბამება მომწიფებული სოციალიზმის ეტაპს. ეს ერთიანობა, ამავე დროს ახალი ისტორიული ერთობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია, მისი შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საწინდარია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი გზის მთავარ შედეგებს შორის ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე დასახელა სოციალიზმის აშენება, საბჭოთა ცხოვრების წესის დამკვიდრება, წარმატებანი ახალი ადამიანის — მგზნებარე პატრიოტისა და თანამიმდევრული ინტერნაციონალისტის ჩამოყალიბებაში. ეს შედეგები განუყრელად უკავშირდება მასების ინტერნაციონალისტური შეგნების ფორმირებას, საბჭოთა ხალხის როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის ერთიანობის განმტკიცებას.

საბჭოთა ცხოვრების წესის ინტერნაციონალური თვისებები და მათი შემდგომი განვითარების გზები

სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სექტორის გამგის

მ. ი. კულიჩენკოს თანამოხსენებიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, რომელმაც დაახასიათა ჩვენი პარტიის ტიტანური საქმიანობა კომუნისტური მშენებლობისათვის და, კერძოდ, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, თქვა, რომ ეს ყოველივე სიტყვები კი არ არის, არამედ რეალური სინამდვილეა.

ალბათ, საერთო აზრს გამოთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ვიცით, როგორი პრინციპულობითა და თანამიმდევრობით, ბოლშევიკური გამბედაობით ახორციელებენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ბიურო და პირადად რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. ესეც ადრევანვე სიტყვები კი არ არის, არამედ საქართველოს სახელოვანი მებრძოლი პარტიული ორგანიზაციის რეალური საქმეებია.

ინტერნაციონალიზმი, თქვა შემდეგ ა. უ. სალიმოვმა, მთელი საბჭოთა ცხოვრების წესის განუყოფელი ნიშანი გახდა. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ როგორც ვიცით, მხოლოდ ის შეიძლება ჭეშმარიტად და საზოგადოებაში დამკვიდრებულად ჩაითვალოს, რაც ფეხი მოიკიდა ადამიანთა ცხოვრებაში, გახდა მრავალმხრივი საქმიანობის ორგანული ნაწილი.

ცხოვრების წესი ფართო და ტევადი ცნებაა. იგი ვლინდება საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა ძირითად სფეროში — საწარმოო-ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ, სულიერ და საოჯახო-საყოფაცხოვრებო სფეროებში. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ცხოვრების წესის ინტერნაციონალიზაციაზე, ეს ნიშნავს, რომ ვეხებით მთავარ, ყველაზე ღრმა ფენებს, და აქ განსაკუთრებით ზუსტად, გააზრებულად უნდა ვიმოქმედოთ, მთელ მუშაობას საფუძვლად დაეუდოთ ურყევი მარქსისტულ-ლენინური თეორია.

ორატორი დაწვრილებით შეეხო „საბჭოთა ცხოვრების წესის“ კატეგორიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრინციპულ საკითხს. მან აღნიშნა, რომ უზბეკეთის პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის ხელმძღვანელობდა იმით, რომ მისი საქმიანობა რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ცხოვრების წესის განვითარებისათვის უნდა ოფალისწინებდეს მისი ხასიათების, თვისებების დიალექტიკური ერთიანობის დამკვიდრებას, რომელთა შორის გადამწყვეტი, წამყვანია ინტერნაციონალური.

ინტერნაციონალური ერთობა ადამიანთა საქმიანობის მთავარ პროცესში — მატერიალური დოვლათის წარმოებასა და აკადემიურ წარმოებაში — საბჭოთა უზბეკეთის ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია.

ჩვენში, თქვა თანამომხსენებელმა, არ არის არც ერთი საწარმოო კოლექტივი, რომელიც მრავალეროვანი არ იყოს, მაგალითად, ტაშკენტის საფეიქრო კომბინატში შრომობენ 41 ეროვნების წარმომადგენლები, ნირჩიკის ქიმიურ კომბინატში — 32, უზბეკეთის მეტალურგიულ ქარხანაში 30 ეროვნების წარმომადგენლები და სხვ.

ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც ინტერნაციონალიზაციის პროცესის ღრმა თეორიული განზოგადება მოგვცა თავის სტატიაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის შესახებ“ თქვა: „რაც უფრო ინტენსიურია თვითეული ეროვნული რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალური განვითარება, მით უფრო ამკარად ვლინდება იქ მთელი ჩვენი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი“.

საბჭოთა ცხოვრების წესის ინტერნაციონალიზაციის შემდგომი განვითარების გზების საკითხის განხილვისას მიხდა აღვნიშნო ამ პროცესის ღრმა დიალექტიკური ხასიათი. ეჭვი არ არის, რომ თავისი არსით ინტერნაციონალური საბჭოთა ცხოვრების წესი, განსაკუთრებით მის ისეთ სფეროში, როგორიცაა მატერიალური წარმოება, მძლავრ აღმზრდელობით ზემოქმედებას ახდენს ადამიანებზე. ქმნის მათში პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ჩამოყალიბების პირობებს.

მეორე მხრივ — პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა, რომელიც შეგნებაში ინტერნაციონალიზმის ღრმა, თეორიულად გაზარეული პრინციპების ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორია, უდიდეს გავლენას ახდენს ცხოვრების წესის ინტერნაციონალური თვისებების ფორმირებაზე.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდაში, თქვა შემდეგ ორატორმა, უაღრესად დიდ როლს ასრულებს სკოლა. თვალსაჩინებლად რა იმის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიც, მთავრობა მთელ რიგ ქმედით და ეფექტიან ღონისძიებებს ახორციელებენ რესპუბლიკაში სასკოლო საქმის ინტერნაციონალური ხასიათის გასაძლიერებლად.

სკოლებში სწავლება მიმდინარეობს შვიდ ენაზე: უზბეკური, რუსული, ტაჯიკური, ყირგიზული, ყაზახური, ყარაყალპაყური, თურქმენული ენებზე. ამასთან მეცდინეობი, რომ ბაღარდოს ისეთი სკოლების ქსელი, სადაც სწავლება იქნება ორ და მეტ ენაზე. ახლა მხოლოდ ათასამდე ასეთი სკოლა გვაქვს. და ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქ განსაკუთრებით ეფექტიანად მიმდინარეობს ახალგაზრდობის შეგნებაში ინტერნაციონალური თვისებების, პრინციპების ჩამოყალიბების პროცესი.

ინტერნაციონალური აღზრდის უმნიშვნელოვანესი, ქმედითი ფაქტორია სკოლებში რუსული ენის შესწავლა, რომელიც იმის მძლავრი საშუალება გახდა, რომ ვეზიართ არა მარტო რუსი, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ცხოვრებას, ყოფას, კულტურას, ჩაეწვდეთ მათს სულიერ ცხოვრებას.

ინტერნაციონალური აღზრდის პროცესი გრძელდება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებშიც, სადაც სწავლობენ ჩვენი ქვეყნის 70 ეროსა და ეროვნების, ავრეთვე საზღვარგარეთის 56 ქვეყნის წარმომადგენლები.

თანამომხსენებელი აქ შეეხო ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრების საკითხს, რომელიც ხელს უწყობენ მთელი საბჭოთა კულტურის ინტერნაციონალიზაციას და, ამით, საბჭოთა ადამიანის ცხოვრების წესისა და შეგნების ინტერნაციონალიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც დიდად აფასებს ლიტერატურისა და ხელოვნების როლს შრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში, დიდ მუშაობას ეწევა უზბეკური ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის, სსრ კავშირის სხვა ხალხების ლიტერატურასა და ხელოვნებასთან მათი ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

ორატორი შეეხო უზბეკეთის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში ახალი წეს-ჩვეულებების პროპაგანდისა და გავრცელებისათვის. ყოფისა და ტრადიციების პრობლემა ყოველმხრივ განხილეს უზბეკეთის კომპარტიის XVIII და XIX ყრილობებზე. აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ბევრი მატერიალური და სულიერი წანაძღვრებია შექმნილი ადამიანის ბედნიერებისა, ეროვნული ბედნიერებისა, ეროვნული ინტერნაციონალიზაციისა. ეროვნული ინტერნაციონალიზაციის ეტაპზე ეროვნული ურთიერთობის

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძლევამოსილი დროშა

სკკპ XXV ყრილობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ლენინური ეროვნული პოლიტიკის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ

სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს თანამედროვე ეპოქაში, ღრმად გააშუქა მისი არსი, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი. ყრილობამ განაზოგადა სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის, ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისათვის ბრძოლის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება და ახალი ნაბიჯი გადადგა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განვითარების გზაზე.

ყრილობის დოკუმენტებში დაკონკრეტებული და გაღრმავებული იყო მარქსისტულ-ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ კომუნისტები თავიანთ ბრძოლაში უნდა ხელმძღვანელობდნენ ზოგადი კანონზომიერებებით და მას უხამებდნენ თვითეული ქვეყნის კონკრეტული პირობებისადმი შემოქმედებითს მიდგომასა და მათს გათვალისწინებას. სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა მუშათა კლასის ნაციონალური და ინტერნაციონალური ამოცანების ერთიანობა, კომუნისტთა გაზრდილი პასუხისმგებლობა, როგორც მთელი ქვეყნის ბედისათვის, ისე მსოფლიო რევოლუციური პროგრესის განვითარებისათვის.

ყრილობის მიერ დასახული დებულებების უდიდესი თეორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან ცხადყო შეურიგებლობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისაგან ყოველგვარი გადახვევისადმი, საკადრისი პასუხი გასცა ცდებს რევოლუციური არსი გამოაცალონ ინტერნაციონალიზმს და გათქვიფონ იგი ამა თუ იმ წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობაში. ყრილობამ მთელი ძალით დაადასტურა, რომ ჩვენს დროში არ შეიძლება იყო ჭეშმარიტი რევოლუციონერი, მარქსისტ-ლენინელი, თუ ამავე დროს თანამიმდევრული ინტერნაციონალისტიც არ ქნები.

დამოკიდებულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი იყო და არის მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრებისადმი, საერთაშორისო მუშათა კლასის საქმისადმი ერთგულების სასინჯი ქვა. „ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა,—პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დაცვა თვითეულ მარქსისტ-ლენინელის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიგვიჩნია!“

სკკპ XXV ყრილობამ განაზოგადა ინტერნაციონალიზმის პრინციპების განხორციელების მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულება ნიშნავს არა მარტო მის დეკლარირებას, არამედ მთელი ხიმძიმის ცენტრის გადატანას მისი პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებაზე, რათა რეალურად განვამტკიცოთ სოციალიზმი, მხარი დავუჭიროთ კაპიტალის ქვეყნებში რევოლუციურ და განმათავისუფლებელ მოძრაობას, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ყველა რაზმის ერთიანობას.

ქმედითობაზე ყურადღების გამახვილება ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ თეორიაში ლენინური წვლილის უმნიშვნელოვანესი მხარეა. სწორედ ამ მხარეს ლენინური ტრადიციების სულისკვეთებით გაუსვა ხაზი და გაანავითარა ჩვენი პარტიის XXV ყრილობამ.

ღრმა ლოგიკაა იმაში, რომ სწორედ პარტიის XXV ყრილობამ ასეთი ცხოველმყოფელი ძალით აღიმაღლა ხმა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დასაცავად. ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებამ და უმაგალითო რეზონანსმა, რომელიც გამოწვეული ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეებმა საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით, მთელი მსოფლიოს ფართო დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები აალაპარაკა სოციალისტური წყობილების უპირატესობებზე. ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის დიად ძალას მოწმობს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების გაძლიერება, რაც გამოიხატა სოციალისტური ქვეყნების ძლიერების შემდგომი ზრდითა და შეკავშირების გაფართოებით, კომუნისტთა, მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების მძლავრი ინტერნაციონალური სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან, რამაც შესაძლებლობა მისცა ისტორიული გამარჯვება მოეპოვებინა, მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების შეკავშირების ზრდა და ძალიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნის მნიშვნელოვანი შედეგები.

მეორე მხრივ, მაოიზმის, როგორც შოვინისტური მიმართულების გაკოტრება, რასიზმის იმპერიალისტური პოლიტიკის კრახისი, რომელსაც გმობენ არა მარტო მარქსისტ-ლენინელთა ფართო წრეები, არამედ ყველა მოწინავე ადამიანი, — ყოველივე ეს მოწმობს, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარება მიდის არა ხალხთა ნების, რომელიც ამას ბურჟუაზიული იდეოლოგები წინასწარმეტყველებენ, არამედ ინტერნაციონალიზმის, ხალხთა თავისუფლებისა და ძმობის გამმტკიცების გზით. ეს დაადასტურა კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციამ.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, გამაყოფთ, რომ მომე პარტიებს ჩვენი ქვეყანა ყოველთვის მიაჩნიათ პროგრესისათვის ბრძოლის ავანგარდად, ლენინური კომუნისტური პარტიისადმი დაჟარდებულება კი აქვავთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი პრინციპის დონეზე. ამავე დროს საბჭოთა კომუნისტები ცდილობენ შეიტანონ თავიანთი ყველი ინტერნაციონალიზმის კონტრიბუციის პრობლემის თეორიულ შემუშავებაში მსოფლიო ასპარეზზე ძირეული ძვრების გათვალისწინებით.

საბჭოთა ქვეყანა ითქოს გიგანტური ლაბორატორია იყოს, სადაც პირველად ისტორიაში შეძლოდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ეროვნული საკითხის შესახებ, სადაც პირველად შემოწმდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინაშე სოციალისტური ინტერნაციონალიზმის უპირატესობა.

საბჭოთა კავშირმა და ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ პირნათლად ჩაანარეს ეს გამოცდა. ეს კი დიდად ზრდის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძმაბიდგელობას.

მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველ ახალ გამარჯვებასთან ერთად კი არ სუსტდება, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ძლიერდება ბრძოლა ეროვნულ საკითხში ორ საწინააღმდეგო იდეოლოგიას შორის — პროლეტარულ ინტერნაციონალიზმსა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს შორის. ასეთია თანამედროვე ეპოქის კანონზომიერება.

აქ სწორად აღინიშნა, რომ ინტერნაციონალური აღზრდა ახლა გახდა ამოცანა, როგორც ძალიანაც ჩვენი ცხოვრებისა ყველა სფეროს — პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, კულტურულ, სამეცნიერო სფეროებს. პარტია ყოველდღეს უფიქრობს იმაზე, თუ როგორ დიდი ეხიშვნელობა აქვს, რომ მხედველობიდან არ გამოკვრჩეს არც ერთი რგოლი, ერთი ეტეხელ-ვით, არც ერთი უმცირესი საკითხიც ეროვნული პრობლემების გადაწყვეტაში. ამასთანავე პარტია მუდამ მიგვითითებდა, რომ საჭიროა გამოვიჩინოთ სიფრთხილე და ყურადღება ეროვნული გრძნობისადმი, არ დაეშვათ მათი იგნორირება, არც მათი გაბერვა, გიპერტროფია.

შემდეგ ორატორმა გააშუქა ბურჟუაზიული პროპაგანდის მთელი რიგი კონცეფციების მტრული ანტიმეცნიერული ირსი, ამხელილი ამ ცდები სოციალიზმი დაუპირისპიროს ამა თუ იმ რესპუბლიკის ეროვნულ განვითარებას, სსრ კავშირის ხალხები რუს ხალხს და სხვ.

ცხოვრების საბჭოთა წესი სათუთად ეკიდება ყოველი ხალხის — დიდი თუ პატარა ხალხების ნამდვილ ეროვნულ ღირებულებებს. ამასთანავე ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ინტერნაციონალურ ღირებულებებს. სსრ კავშირის თვითეულ მოქალაქეს სულ უფრო მეტად ესმის, რომ ეკუთვნის საბჭოთა ხალხს, როგორც ახალ ერთობას. ჩვენს პროპაგანდისტულ საქმიანობაში უფრო ღრმად უნდა გავაშუქოთ საბჭოთა მოქალაქეობის მნიშვნელობა, ვიფიქროთ სხვადასხვა სფეროში პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებაზე, რომლებიც განამტკიცებენ საბჭოთა ღირსებას.

სოციალიზმის რეალური გამოცდილება, ინტერნაციონალიზმის ბრწყინვალე მაგალითი, რომელსაც ყოველ დღე ცხადყოფენ საბჭოთა ხალხი, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სხვა ხალხები, ყველა საფუძველს გვაძლევს დარწმუნებული ვიყოთ, რომ სწორედ ინტერნაციონალიზმს, ხალხთა სოციალისტურ ძმობას ეკუთვნის ძმამავალი.

ე. ა. ბაგრამოვმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ახლა, ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის არსებობის პირობებში აორახული შესაძლებლობაა შექმნილი ხალხთა მიერ ყველა ერის, და უწინარეს ყოველისა, რუსი ხალხის როგორც მთელი საბჭოთა ხალხის ძმადუღაბებელი ძალის ღირებულებათა გაცვლისა და საუკეთესო ნიმნების ათვისებისათვის. ორატორმა თქვა, რომ ამხ. ე. ა. შევარდნაძეკ თავის უადრესად ღრმა და მეცნიერულად მოხსენებაში ფართოდ დამაჯერებლად ილაპარაკა სოციალური და ეროვნული სამართლიანობის გარეშიბაზე როგორც რუსული ხასიათის თვისებაზე. ჩვენ ყველანი ვეთანხმებით ამას. პირადად ჩემი აზრით, ის უდიდესი და ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც უკახასველ წლებში ეწევა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კომუნისტური საძართლიანობის დაძკვიდრებისათვის და ის მძლავრი ძარდაჭერა, რომელსაც ამ მუშაობას უწევენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, თოწმობს, რომ სამოთლიანობის გრძნობა სრულიადაც არ კარგავს ეროვნულ ფესვებს და სულ უფრო მეტად ხდება საბჭოური ხასიათის ნიმანთვისება.

ლების განვითარებისა და განლაგების გრძელვადიანი გენერალური სქემების შემუშავება როგორც ქვეყნის ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის ერთიანი პერსპექტიული ტერიტორიული მოდელი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების წარმატებით შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირმა წინ წაიწია კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით. შეიქმნა საჭირო პირობები იმისა, რომ გადაწყდეს ახალი, უფრო დიდი ამოცანები კომუნისტური პარტიის ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკის შესაბამისად.

მეათე ხუთწლედი ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ყველა რესპუბლიკისა და ეკონომიური რაიონის ეკონომიკის განვითარებაში, სსრ კავშირის, როგორც ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის, ეკონომიკის განვითარებაში.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში დასახულია ყველა რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების სწრაფი ტემპი.

აზერბაიჯანის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით

ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელი იდეებითაა გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროსა და პირადად პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა ამ ურთულესი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც დასახულია ჩვენი ქვეყნის, თვითეული მომმე რესპუბლიკის წინაშე. ამას თვალსაჩინოდ ცხადყოფს საბჭოთა აზერბაიჯანის მაგალითი. მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული უმაგალითო წარმატებანი განუყოფლადაა დაკავშირებული პარტიისა და მთავრობის მუდმივ დახმარებასთან.

ხელმძღვანელობს რა პარტიის მითითებებით, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იდეოლოგიურ მუშაობას.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა აზერბაიჯანის კომპარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის ქვაკუთხედია. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ მის სათავეებთან იდგა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა ბაქოსა და მთელი კავკასიის ბოლშევიკების, მუშათა კლასის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უდიდეს მნიშვნელობას. ამიტომ აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაცია ინტერნაციონალურ აღზრდაში მუდამ ეყრდნობა იმ უმდიდრესი ტრადიციების მძლავრ ძალას, რომლებიც ბაქოს ბოლშევიკებმა, გმირმა მუშათა კლასმა გამოჭედეს ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის რევოლუციურ ბრძოლებში. ეს ტრადიციები გამრავლდა და გამდიდრდა სოციალისტური მშენებლობის წლებში.

**ინტერნაციონალიზმის პრინციპს მტკიცედ და განუხრელად ვიცავთ ადრეული პოლიტიკაში ყველა დონეზე — პარტიული ჯგუფი, პირველადი პარტიული ორგანიზაცია